



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N3

ქ. ლანჩხუთი

05. 02. 2019 წელი

საკრებულოს რიგგარეშე სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ თავმჯდომარე ლელა ჩახვაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიმიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე გიორგი ფაცურია, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი მამუკა ვადაჭკორია, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ რიგგარეშე სხდომა მოწვეულ იქნა მუნიციპალიტეტის მერის წინადადების საფუძველზე, რათა დროულად იქნას გადაწყვეტილი მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხები.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი მ. ვადაჭკორია/

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.

მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ**. მან აღნიშნა, რომ 2018 წლის 29 ოქტომბრის N1994 განკარგულებით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ მუნიციპალიტეტების დაფინანსების მიზნით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისათვის სკოლების რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი 102719.16 ლარიდან მიიმართოს ჩიბათის საჯარო სკოლის (ჭალის სკოლა) 39810,30 ლარი და ნინოშვილის საჯარო სკოლის 62908,86 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N2577 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 1608425 ლარი, მათ შორის: ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში ეგნატე ნინოშვილის სახლ მუზეუმთან მისასვლელი გზის აღდგენის

სამუშაოებზე 300598 ლარი, გვიმბალაურის, ღრმაღელის, სუფსისა და ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოებზე 1307827 ლარი, აღნიშნული პროექტების თანადაფინანსებაზე მიიმართოს 84655 ლარი. (15822-68833 ლარი).

2018 წლის 18 იანვრის საქართველოს მთავრობის N136 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხიდან აუთვისებელი 698289 ლარიდან 253782 ლარი მიიმართოს გზების კაპიტალურ შეკეთებაზე, მათ შორის საკუთარი სახსრებიდან 45483 ლარი. კაპიტალურ დაბანდებებზე სპორტის სფეროში (საფეხბურთო აკადემიის რეაბილიტაციისათვის) 478210 ლარი, საქადრაკო სკოლის რეაბილიტაციაზე 30443 ლარი. 18663 ლარი საკუთარი სახსრებიდან. ჭადრაკის სახლის პირველ სართულზე ორი ოთახის რეაბილიტაცია საკუთარი სახსრებიდან 1715 ლარი.

საკრებულოს რიგგარეშე სხდომას შემოუერთდა საკრებულოს წევრი ირაკლი მარშანიშვილი.

2018 წლის 17 აგვისტოს საქართველოს მთავრობის N1622 განკარგულებიდან სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისათვის ჩამორიცხული თანხიდან აუთვისებელ 254391 ლარიდან გზების კაპიტალურ შეკეთებაზე მიიმართოს 253454 ლარი, 750 ლარი მიიმართოს სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა რეაბილიტაცია-ექსპლოატაციაზე, ხოლო 187 ლარი სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციაზე.

2018 წლის 01 აგვისტოს საქართველოს მთავრობის N1468 განკარგულებიდან სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით აუთვისებელ 1593 ლარიდან 1240 ლარი მიიმართოს ავარიული ობიექტების შენობების რეაბილიტაციაზე (ად.შენობა) სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია და მშენებლობაზე 353 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის N45 განკარგულებით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 374000 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის N13 განკარგულებით გამოეყო 120390 ლარი დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების განსახორციელებლად. (სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N8 19,01,2019)

საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისათვის არაფინანსური აქტივების მუხლი გაიზარდოს 291000 ლარით.

გურიის ტურიზმის ხელშეწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად მიიმართოს 6390 ლარი.

მუნიციპალიტეტის მერიის ოფისის ხარჯი გაიზარდოს 43500 ლარით. მათ შორის კომუნალური ხარჯის დაფინანსებაზე 12000 ლარი, მცირე ფასიანი ინვენტარის შეძენისათვის 31500 ლარი. არაფინანსური აქტივების მუხლი გაიზარდოს 34000 ლარით საოფისე ტექნიკის შესაძენად.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს არაფინანსური აქტივების მუხლი გაიზარდოს 22500 ლარით, 7500 ლარი საოფისე ტექნიკის შესაძენად და 15000 ლარი სააქტო დარბაზის გახმოვანებისათვის.

სამხედრო სამსახურის არაფინანსური აქტივების მუხლი გაიზარდოს 1500 ლარით საოფისე ტექნიკის შესაძენად, ოფისის ხარჯი გაიზარდოს 1500 ლარით.

ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის წერილის საფუძველზე მიზანშეწოლილად ჩაითვალა სხვა ხარჯის 23600 ლარი და საქონელი და მომსახურების მუხლის 54320 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს შრომის ანაზღაურების ფონდი 77920 ლარით საპენსიო ფონდის შენატანისათვის.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებათა სკოლათა გაერთიანების წერილის განხილვის შედეგად მიზანშეწოლილია დამატებით გამოეყოს დაფინანსება 5150 ლარი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრი“-ს მიმდინარე წლის 31 იანვრის N6 წერილის განხილვის შედეგად მიზანშეწონილია დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის 33140 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სხვა ხარჯების მუხლი 33140 ლარით.

წარმოდგენილი ხარჯების დაფინანსება განხორციელდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთის ხარჯზე.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, **ვერიკო კვიციანი** დაინტერესდა, იგეგმება თუ არა რაიმე სახის ღონისძიება საჯარო მოხელეებისთვის ხელფასების მატებასთან დაკავშირებით, რადგან მთავრობის მხრიდანაც იყო გამოთქმული გარკვეული მოსაზრება, რომ ამ კუთხით რაღაც ცვლილებები იქნებოდა.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის, **როლანდ ლაშხიას** განმარტებით, ხელფასების მატებასთან დაკავშირებით არანაირი ღონისძიებები არ ტარდება, რადგან მსგავსი ცვლილებების განხორციელებას ესაჭიროება შესაბამისი თანხა და რესურსი. განხილული იქნება მხოლოდ შეუსაბამო ხელფასების მოწესრიგება და შესაბამისობაში მოყვანა. მისი თქმით, მთავრობის მიერ ასეთი განცხადების გაკეთების შესახებ არანაირი ინფორმაცია არ ყოფილა. პირიქით, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მხრიდან ბიუჯეტის განხილვისას ცამეტ თვეზე გაანგარიშების მოთხოვნა იყო, მაგრამ მთავრობიდან მოვიდა უარყოფითი პასუხი.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანი** ამასთან დაკავშირებით უკმაყოფილება გამოთქვა და აღნიშნა, რომ შეუსაბამო ხელფასებზე არ საუბრობს, რადგან ეს ისედაც მოსაწესრიგებელია. ზოგადად, საკითხისადმი ასეთი მიდგომა ძალიან ცუდია, რადგან ისეთი ტენდენცია იქმნება, რომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა არ არის დაინტერესებული და საჯარო მოხელეების მოტივაციის გაზრდა მათთვის პრიორიტეტის სფეროს არ წარმოადგენს, როგორც ხელფასებთან დაკავშირებით, ასევე მათთვის სათანადო სამუშაო პირობების შექმნის კუთხითაც. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ასევე დაინტერესდა, იგეგმება თუ არა საჯარო მოხელეების პროფესიულ

გადამზადებასთან დაკავშირებით რაიმე ღონისძიებები, რადგან თანხა ამ მიზნით გასული წლის ბიუჯეტშიც იდო, მაგრამ მოხდა კი მისი გამოყენება? მან იქვე შენიშნა, რომ ამ პრეტენზიებს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მიმართ კი არ გამოთქვამს, არამედ სასურველი იქნებოდა, რომ დღევანდელ სხდომას დასწრებოდა მუნიციპალიტეტის მერი.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის, **როლანდ ლაშხიას** განმარტებით, საჯარო მოხელეების პროფესიული გადამზადების მიზნით ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებულია სახელფასო ფონდის 1 %.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარემ, **ზაზა წულაძემ** აღნიშნა, რომ საუბარია აუთვისებელ თანხებზე. მას აინტერესებს, რა მიზეზით არ მოხდა მათი სრულად ათვისება. ამასთან დაკავშირებით მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ აუთვისებელი თანხები არ არის მიმდინარე ხარჯები, ანუ იგი გამოყენებული უნდა იქნას იმავე დანიშნულებით, რისთვისაც იყო განსაზღვრული.

საკრებულოს წევრის, **იოსებ ჩხაიძის** თქმით, აუთვისებელ თანხებთან დაკავშირებით ქონდა მოლოდინი, რომ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში საკრებულოს ბიურო საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას აუცილებლად დაავალებდა საკითხის შესწავლას, რადგან ნამდვილად არ არის ხელწამოსაკრავი თემა და საკმაოდ დიდ თანხაზეა საუბარი, რომელიც არ ათვისებულა 2018 წელს. ამას ისიც დაემატა, რომ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით აუდიტის დასკვნის მიხედვით იყო კატასტროფული მდგომარეობა, რაც ნიშნავს, რომ ინფრასტრუქტურული პროცესების განვითარება არ მიმდინარეობდა მართებულად. საკრებულოს წევრი მიიჩნევს, რომ ეს საკითხი ასე მარტივად განსახილველი არ არის და ჯერ საკრებულოს კომისიებმა უნდა იმსჯელონ, რადგან საერთო მიზანი ხომ ისაა, რომ თანხები მიიმართოს მიზანმიმართულად, რათა მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა სწორად განვითარდეს.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** შენიშნა, რომ საკითხი საკრებულოს ყველა კომისიას დაეწერა და შესაბამისად, განიხილა.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** აუთვისებელ თანხების შესახებ განმარტა, რომ ინფრასტრუქტურული პროექტებთან დაკავშირებით თანხები გამოიყო, მაგალითად ნოემბერში, დეკემბერში, მაგრამ სამუშაოების შესრულების დროს ზოგიერთ შემთხვევაში ამათუ იმ მიზეზით დაირღვა ხელშეკრულების ვადები და მოხდა მათი გაგრძელება ანუ სამუშაოები ვერ დასრულდა დროულად, შესაბამისად ვერ მოხდა ამ მიზნით გამოყოფილი თანხების ათვისება. ყველა ტიპის სამუშაოს ახლავს კალენდარული ვადა, აგრეთვე გარკვეული პროცედურები, რომელთა გავლის შემდეგ ხდება მათი ანაზღაურება. აქედან გამომდინარე, მათ მიმართ, ვინც დაარღვია სამუშაოს შესრულების ვადა, ჯარიმა

იქნება ეს თუ სხვა რამ, განხორციელდება წარმოდგენილი სამუშაოს ანაზღაურების დროს.

საკრებულოს წევრის, **იოსებ ჩხაიძის** თქმით, საკრებულოს ფრაქციამ „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ წლის ბოლოს გამოითხოვა მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, მაგრამ დღემდე არანაირი პასუხი არ მიუღიათ.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ** შენიშნა, რომ ფრაქციას „ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისათვის“ პრეტენზიები გააჩნიათ არა საფინანსო, არამედ ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით, რაზეც შესაბამისმა სამსახურმა უნდა გასცეს პასუხი. თანხა არსებობს ბიუჯეტში, რომელიც უნდა აისახოს და დაიხარჯოს, მაგრამ მთავარია, ინფრასტრუქტურული კუთხით როგორ და რანაირად იხარჯება.

მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, **გიორგი ფაცურიამ** ყურადღება გაამახვილა იმასთან დაკავშირებით, რომ ზოგადად იკვეთება ტენდენცია, თითქოს არ შესრულდა ინფრასტრუქტურული პროექტები ან არ ხდება მათი განხილვა. მისი განცხადებით, კომისიის მიერ, რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობს, ყოველკვირეულად ხდება აღნიშნული საკითხების შესახებ მსჯელობა და განხილვა. მაგალითისთვის საფეხბურთო აკადემიის მშენებლობის მოყვანაც შეიძლება. თითქმის ყოველდღე მიდიან ობიექტზე და ხდება მშენებლობის პროცესის შემოწმება. მუნიციპალიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე სამშენებლო კომპანიის მიმართ არის, რაც კი შეიძლებოდა მაქსიმალური მოთხოვნადობა. მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თქმით, არ უნდა შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს არ ხდება ინფრასტრუქტურული პროექტების კონტროლი. ამასთან, ყოველი საკითხი პროექტში სათითაოდ და დაწვრილებით არის ჩამოლილად გაწერილი.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვამემ** მიმართა მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს, რომ მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ ინფორმაციის მიუწოდებლობის გამო მუდმივად ადგილი აქვს პრობლემებს. აქედან გამომდინარე, საკრებულოს ბიუროს, კომისიებსა თუ ფრაქციებს პროექტები უნდა მიეწოდოს ჩაშლილი სახით, სადაც თითოეულ საკითხთან დაკავშირებით დეტალურად იქნება ყველაფერი გაწერილი. მართალია, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა მეტ-ნაკლებად გააკეთა განმარტება აუთვისებელი თანხების შესახებ, მაგრამ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარის აზრით, თითოეულ საკრებულოს წევრს ჩაშლილი ციფრების მიხედვით უნდა ქონდეს ამასთან დაკავშირებით მიწოდებული განმარტება, თუ რატომ ვერ მოხდა ამ თანხების ათვისება. ერთობლიობაში, მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ სწორედ ეს არაინფორმაციულობა და პასუხის გაუცემლობა ქმნის საკრებულოს სხდომებზე მუდმივად პრობლემებს.

საკრებულოს წევრმა, **იოსებ ჩხაიძემ** თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს, რომ მათ მიერ მოწოდებულ იქნას ის დებულება, რომლის მიხედვითაც უნდა განვითარდეს სოფლის მხარდაჭერის პროგრამები.

მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, **გიორგი ფაცურიამ** განმარტა, რომ იანვრის თვის ბოლოს დასრულდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამებთან დაკავშირებით მოსახლეობასთან შეხვედრები და საპროექტო შეთავაზებების შერჩევა. შესაბამისად, სოფლის მხარდაჭერის პროგრამებთან დაკავშირებული საკითხები შემოვა საკრებულოში და ყველანაირ ინფორმაციას მიიღებენ საკრებულოს წევრები, პროექტების შესახებ იქნება ეს თუ თანხებთან დაკავშირებით.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარის, **გიორგი ჩახვამის** თქმით, ყველას აინტერესებს აუთვისებელი თანხების შესახებ ინფორმაცია. როგორც კოლეგები აღნიშნავენ, ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მორჩა დაახლოებით მილიონი ლარი. მან მიმართა მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსს, **ლევან ჩხაიძეს**, გასცეს პასუხი, რატომ ვერ მოხდა ფინანსების ათვისება და მორჩა ეს თანხა, რათა დაკმაყოფილდეს საკითხის ირგვლივ შექმნილი ინტერესი.

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა, **ლევან ჩხაიძემ** შენიშნა, რომ სათითაოდ პროექტების მიხედვით ამ წუთისთვის ზუსტი ციფრები ხელთ არ აქვს. ზოგადად, აუთვისებელი თანხის ძირითადი ნაწილი მოდის დაუსრულებელ პროექტებზე და ასეთი ორია: შიდა სასოფლო გზები და საფეხბურთო აკადემიის შენობის მშენებლობა. დანარე თანხებთან დაკავშირებით ეს გამოწვეულია იმით, რომ სამუშაოების დასრულება მოხდა 26, 27, 28 რიცხვებში და რადგან თვის ბოლო იყო, თანხები ვერ გადაირიცხა. ასევე ინფრასტრუქტურული პროექტის ღირებულების 2,5% არის საგარანტიო თანხა და იქვითება ერთი წლის ვადით. ეს თანხები ჩვეულებრივ, უნდა აისახოს ბიუჯეტში. შიდა სასოფლო გზები დასრულებულია, დარჩა მხოლოდ ერთი ობიექტი - საფეხბურთო აკადემიის შენობა, რომელთან დაკავშირებითაც გაგრძელებულ იქნა სახელშეკრულებო ვადა და დღეისთვის მშენებლობა მიმდინარეობს ჯარიმის ფონზე.

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის განცხადებით, ეს არის ის, რაც ხდება ყოველწლიურად და მეტი არაფერი.

საკრებულოს წევრ, **აკაკი იმნაიშვილისთვის** გაუგებარია თუ რა კრიტერიუმების მიხედვითაა გადანაწილებული სოფლის მხარდაჭერის პროგრამების თანხები. მისი თქმით, შუხუთის ადმინისტრაციული ერთეულის ორივე უბანზე, თუკი ამის მიხედვით იმსჯელებენ, 1700 ამომრჩეველია, მაგრამ მხოლოდ 32000 ლარია ამ მიზნისთვის გათვალისწინებული, მაშინ როცა უფრო პატარა სოფლებისთვის გაცილებით მეტი თანხის გამოყოფა ხდება.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის, **როლანდ ლაშხიას** მოსაზრებით, პრინციპულ გათვლასა და კონკრეტიზაციასთან დაკავშირებით, თუ

რომელ უბანზე რა და როგორ გაკეთდეს, უნდა იყოს მეტი დაინტერესება მაშინ, როცა საკრებულოს სხდომაზე ამათუ იმ პროექტის მოწონების შესახებ მიდის განხილვა და მსჯელობა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** შენიშნა, რომ პირადად ესწრებოდა ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფლის მხარდაჭერის პროგრამასთან დაკავშირებულ შეხვედრას. ჩიბათი არის გაყოფილი 4-ად. შუხუთის ანალოგიური სიტუაციაა ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულშიც. სულ არის ექვსი სოფელი, მაგრამ დაფიქსირებულია ოთხი, რადგან სამი დიდი სოფელი არის გაერთიანებული. საკრებულოს თავმჯდომარემ თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს საკრებულოს წევრები გაარკვიოს შექმნილ სიტუაციაში, რადგან როგორც საკრებულოს მაჟორიტარმა წევრმა, მანაც თავი ჩათვალა დაზარალებულად. წიაღობანი და ჯიხანჯირი არის დიდი სოფლები, მაგრამ სოფლის სტატუსით არ არიან გამოყოფილი, ამიტომ საკრებულოს თავმჯდომარეს აინტერესებს, აქვს თუ არა ამას რაიმე მნიშვნელობა.

მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, **გიორგი ფაცურამ** განმარტა, რომ სოფლები დაყოფილი იქნა სტატუსის მიხედვით. შესაბამისად, რომელსაც აქვს მინიჭებული სოფლის სტატუსი, მათთვის მოხდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამებთან დაკავშირებით თანხის გამოყოფა. რაც შეეხება თანხის რაოდენობას, დებულებაში მოცემულია და ნებისმიერ მათგანს შეუძლია ნახოს ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით. დებულების მიხედვით სოფელს, რომლის მაცხოვრებელთა რაოდენობა არ აღემატება 200 ადამიანს, გამოეყოფა 5000 ლარი; 201-დან 400-მდე გამოეყოფა 6000 ლარი; 401-დან 1000 მაცხოვრებელამდე - 8000 ლარ, ხოლო 1000 მაცხოვრებელს ზევით - 10 000 ლარი.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, **ემზარ თევდორაძე** დაეთანხმა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს, ვერიკო კვიციანიას. მან აღნიშნა, რომ არ არის სათანადო სამუშაო პირობები და ზოგადად ამ კუთხით, ნამდვილად გაუსაძლისი მდგომარეობაა. საშინელი სიტუაციაა შექმნილი, როგორც ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით, ასევე საჭირო ინვენტარის და ტექნიკის მხრივაც. თუ კი ადამიანს სამუშაო პროცესისთვის აუცილებელი შესაბამისი და საჭირო კომფორტი არ ექნება შექმნილი, მაშინ ის მასზედ დაკისრებულ მოვალეობას სათანადოდ ვერ შეასრულებს და მის მიმართ პრეტენზიაც არ უნდა გამოითქვას.

საკრებულოს წევრი, **კახაბერ ასკურავა** მიიჩნევს, რომ მუნიციპალიტეტის მერი უნდა ესწრებოდეს საკრებულოს სხდომას, რადგან პირველ რიგში ის პასუხისმგებელია საკრებულოს წინაშე და როცა ხდება მსგავსი საკითხების განხილვა, უნდა ისმენდეს და ქონდეს ერთგვარი პასუხები დასმულ შეკითხვებთან დაკავშირებით, რადგან პოლიტიკურად პასუხისმგებელი პირი არის ის და არა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი. საკრებულოს წევრის თქმით, პროექტში წერია „არაფინანსური აქტივების კლების ხარჯზე“, რაც ნიშნავს, რომ რაღაც შემოსავალი გამოჩნდა. კარგია, თუ კი რაიმე შემოსავალი იქნება, მაგრამ მას აინტერესებს, ეს რის ხარჯზე მოხდება.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ წარმოდგენილი ხარჯების დაფინანსება განხორციელდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთის ანუ 2019 წელს მიღებული შემოსავლის ხარჯზე.

საკრებულოს წევრმა, **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო საადმინისტრაციო ცენტრის წერილის საფუძველზე მიზანშეწოლილად ჩაითვალა სხვა ხარჯის 23600 ლარი და საქონელი და მომსახურების მუხლის 54320 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს შრომის ანაზღაურების ფონდი 77920 ლარით საპენსიო ფონდის შენატანისათვის. მას უჩნდება კითხვა, რომ ამხელა თანხის გადატანა როცა ხდება მუხლიდან მუხლში, ნუთუ თავის დროზე ბიუჯეტი ვერ დაგეგმეს? გარდა ამისა, სხვა ა(ა)იპ-ებსაც ხომ შეექმნებათ ანალოგიური პრობლემა, რაც საერთო ჯამში ძალიან დიდი თანხა იქნება.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის, **როლანდ ლაშხიას** განმარტებით, როგორც მისთვისაა ცნობილი, აღნიშნული თანხიდან 26000 ლარი არის საპენსიო ფონდისთვის ის 2%, რომელიც უნდა შეავსოს მუნიციპალიტეტმა და რაც თავიდან არ იყო ცნობილი. თანხის დარჩენილი ნაწილი კი მოხმარდება ხელფასების მოწესრიგებას ანუ დაბალანსებას და ერთნაირი დატვირთვის შემთხვევაში ექნებათ თანაბარი ანაზღაურება, რაც ზოგადად არ ნიშნავს ხელფასების მატებას.

საკრებულოს წევრმა, **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ არავინ ეწინააღმდეგება ხელფასების მოწესრიგებას, მაგრამ ამასთან დაკავშირებით ახლა მსჯელობა არ უნდა ხდებოდეს, რადგან ბიუჯეტი უკვე დამტკიცებულია, არამედ საკითხი თავის დროზე უნდა შემოეტანათ განსახილველად. საკრებულოს წევრის აზრით, საკითხისადმი ასეთი მიდგომა წარმოადგენს არასწორი მენეჯმენტის შედეგს. ის ასევე შეეხო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის გამოსვლას და აღნიშნა, რომ ხელფასები პრეზიდენტ სააკაშვილის ბრძანებით მოწესრიგდა და მის შემდეგ უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირების გარდა, ხელფასები აღარ მოწესრიგებულა. აბსოლიტურად ეთანხმება კოლეგების მიერ გაკეთებულ განცხადებებს, რადგან მუნიციპალიტეტის საკრებულოში დასაქმებული ადამიანები ფასებისა და სამომხმარებლო კალათის ზრდის მიუხედავად, დარჩნენ იგივე ხელფასზე. ისინი შრომობენ და ოჯახებს არჩენენ პატიოსანი შრომით. მათ სხვა შემოსავალი და საარსებო წყარო, გარდა ხელფასისა არ გააჩნიათ.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, **როლანდ ლაშხია** გამოეხმაურა საკრებულოს წევრის, **კახაბერ ასკურავას** განცხადებას ხელფასებთან დაკავშირებით და განმარტა, რომ ჭერი მოხსნილია და აღარ მოქმედებს. ხელფასები პირდაპირ მიბმულია სტაბილურ მრავალწლიან შემოსავალზე.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **ვერიკო კვიციანიამ** კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ეს წლებია ისეთი ტენდენცია შეიქმნა, თითქოსდა ხელფასების მომატება ან საჯარო მოხელეების წახალისება არ შეიძლება, რაც მისი აზრით, თავის მოწონების პრაქტიკას გავს.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა მნიშვნელები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ზესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი.

მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი საკრებულოს 1 წევრი (კახაბერ ასკურავა);

მიღებულ იქნა დადგენილება N3 (5.02.2019)

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **მამუკა ვადაჭკორიამ**. მან აღნიშნა, რომ „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 10 ოქტომბრის N784 ბრძანებულების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიწის ნორმატიულ ფასს საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით წელიწადში ერთხელ, არა უგვიანეს ყოველი წლის თებერვლისა, ადგენენ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოები – საკრებულოები. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი საკრებულოს უფლებამოსილებას მიეკუთვნება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნორმატიული ფასის დადგენა. აღნიშნულიდან გამომდინარე, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვრა შემდეგნაირად:

მუხლი 1. სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 კვადრატული მეტრი მიწის ნორმატიული ფასი (შემდგომში „მიწის ნორმატიული ფასი“) გამოანგარიშდება შემდეგი ფორმულის მიხედვით: $CN = IMGX \cdot ITL \cdot X \cdot CX \cdot K$, სადაც:

1. CN არის ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი.
2. IMG არის ქ. ლანჩხუთის მიკრომდებარეობის ინდექსი, რომელიც უდრის 0,38-ს;
3. ITL არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი, რომელიც უდრის ერთს.
4. C არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის 0,24 ლარს.
5. K არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა შეადგენს 100.

მუხლი 2. პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ლანჩხუთის მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით: $CN = 0,38 \cdot X1 \cdot X \cdot 0,24 \cdot X 100 = 9,12$.

მუხლი 3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქალაქ ლანჩხუთის დადგენილი ფასის 35%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 3,19 ლარს.

მუხლი 4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქალაქ ლანჩხუთის დადგენილი ფასის 25%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 2,28 ლარს.

მუხლი 5. სოფელ მალთაყვიდან მდინარე სეფისწყალამდე შავი ზღვის ნაპირიდან 500 მეტრის რადიუსში არსებულ დასახლებებში და დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს ქალაქ ლანჩხუთის დადგენილი ფასის 100%-ის ოდენობით, რაც შეადგენს 9,12 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება ამ წესის მე-3, მე-4 და მე-6 მუხლებით დადგენილი ნორმები.

მუხლი 6. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №407 დადგენილებით განსაზღვრულ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს), გარდა დანართის მე-2 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული ტერიტორიებისა, მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს ქ. ლანჩხუთში დადგენილი მიწის ნორმატიული ფასის 50%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 4,56 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება ამ წესის მე-3–მე-5 მუხლებით დადგენილი ნორმები.

საკრებულოს წევრ, **კახაბერ ასკურავასთვის** გაუგებარია, რატომ განიხილება ეს საკითხი საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე. მისთვის მისაღებია ბიუჯეტში ცვლილების შესახებ პროექტის განხილვა დღევანდელ სხდომაზე, მაგრამ აინტერესებს, აღნიშნული საკითხის გამოტანა რა აუცილებლობითაა გამოწვეული, რადგან ეს არის არა სწორი. არსებობს საკრებულოს რიგითი სხდომა, რომელზეც უნდა ხდებოდეს ანალოგიური პროექტების განხილვა.

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა, **მამუკა ვადაჭკორიამ** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მიღებული უნდა იქნას არა უგვიანეს თებერვლის თვისა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარის, **გიორგი ჩახვადის** თქმით, სრულიად ეთანხმება საკრებულოს წევრს და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხის განხილვა უნდა მომხდარიყო საკრებულოს თებერვლის თვის მიმდინარე სხდომაზე.

საკრებულოს წევრი, **კახაბერ ასკურავა** მიიჩნევს, რომ 9,12 ლარი არის ცოტა, ამიტომ აინტერესებს-ეს ფასი წარმოადგენს ჭერს თუ შეიძლება მისი გაზრდა.

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა, **მამუკა ვადაჭკორიამ** განმარტა, რომ მიწის კონკრეტული ნორმატიული ფასი განისაზღვრება ქალაქ ლანჩხუთის დადგენილი ფასის 100%-ის ოდენობით, რაც შეადგენს 9,12 ლარს.

საკრებულოს წევრმა, ამირან გიგინეიშვილმა აღნიშნა, რომ საუბარია მიწის ნორმატიულ ფასზე და მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადასაწყვეტია, მიწა ნორმატიულ ფასად გაიყიდება თუ აუქციონის წესით-საბაზრო ღირებულებად.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.

მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არცერთი;

მიღებულ იქნა დადგენილება N4 (5.02.2019)

ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

